დამტკიცებულია : შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის 2021წლის 9 ივლისის N 01-17 ბრძანებით;

ცვლილება: 2022 წლის 23 აგვისტოს N 01-10 ბრძანებით/2024 წლის 27 ივნისის 01-09 ბრძანებით / 2026 წლის 16 ივნისის 01-17 ბრძანებით

შპს ცხუმ-ეგრისი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები

თავი I

მუხლი1 .ზოგადი დებულება - რეგულირების სფერო

1.შპს ცხუმ-ეგრისის (შემდგომში კოლეჯი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში პროგრამა) ჩარიცხვის წესი და პირობები (შემდგომში - წესი) ადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პირთა შერჩევის და ჩარიცხვის პროცედურებს.

2. წინამდებარე წესით განისაზღვრება მხოლოდ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და შერჩევის პროცედურები, რომლის განხორციელების უფლებაც კოლეჯს მოპოვებული აქვს ავტორიზაციის გზით:

ა) საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;

ბ) უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

3. წესის მიზანია პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის რეგულირება, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.

4. პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მიზანია დეცენტრალიზებული, სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური და გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიული განათლების

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება კოლეჯში ხდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 24 ივნისის №110/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების", თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის მოთხოვნათა დაცვით, აგრეთვე წინამდებარე წესის შესაბამისად და კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე.

თავი II

მუხლი 2. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგემვა და ორგანიზება

დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. კოლეჯი დაინტერესებულ პირს, მომართვის შემთხვევაში, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, აცნობს:

ა) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;

ბ)კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და შერჩევის თავისებურებებს;

გ) პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებს და საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება რეგისტრაციაში;

დ) საგანმანათლებლო სერვისებს, მათ შორის, პროგრამის თავისებურებებს (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) და სხვა.

2 კოლეჯი დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას ახორციელებს მომართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში.

მუხლი 3. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები:

1. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
   ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
   გ) შერჩევა;
   დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა;
   ე) შედეგების გამოცხადება, პროგრამაზე ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება.

2. ჩარიცხვის ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე წესით რეგულირდება განათლებისა, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების თანახმად;

მუხლი 4. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად, რომელშიც აისახება ინფორმაცია დაწესებულების, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა

შერჩევის ძირითადი და დამატებითი მეთოდებისა და სხვა პირობების შესახებ.

მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის პროგრამაზე ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში www.vet.emis.ge და რეგისტრირდება აპლიკანტად.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ხალგაზრდობის მინისტრის (შემდგომში მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

4.პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გათვალისწინებით, აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირს შეზღუდული აქვს პროგრამაზე რეგისტრაციის უფლება, გარდა სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტისა;

5.რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებით, შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით. 6.. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში.

6.რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

მუხლი 5. აპლიკანტთა შერჩევა

1.აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს.

2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.

2.შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებისა.

3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით.

მუხლი 6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა

1. სპეცილური საგანანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები კოლეჯში ირიცხებიან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში;

2. კოლეჯი განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამზე ჩარიცხვის შესახებ;

3. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამისთვის სპეციალაური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით კოლეჯის მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტო. მონაცემები აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ხდება აპლიკანტის ინფორმირება სატელეფონო ან/და ელეტრონულის ფოსტის საშუალებით.

5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით დაწესებულება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 7. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება

1. კოლეჯში თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის აპლიკანტთა შეფასების თარიღები და დრო განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინიტრაციული-სამართლებრივი აქტით, შერჩევის პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და განთავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

2. აპლიკანტები შეფასების თარიღების და დროის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეფასების პროცესამდე მინიმუმ ორი სამუშაო დღით ადრე.

3. აპლიკანტებს შერჩევის პირობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ შერჩევის დღეს შესარჩევი კომისიის მიერ.

4. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი არ დაიშვება კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაზე.

მუხლი 8. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება

1. გასაუბრებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია გასაუბრება.

2. გასაუბრებას ატარებს შესარჩევი კომისია, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მტკიცდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით.

მუხლი 9. შესარჩევი კომისიის შექმნა

1. შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრ(ებ)ი. აუცილებელია კომისიაში შედიოდეს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომდაგენლელი.

2. კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.

3. აპლიკანტთა შეფასება არის დიფერენცირებული და განისაზღვრება დანართების შესაბამისად.

4. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

5. შესარჩევი კომისიის მიერ ხდება შედეგების შეჯერება და პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომელთაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარირეიტინგული სიებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ. მუხლი 10. მოტივაციური გასაუბრება

6.მოტივაციური გასაუბრების მიზანია აპლიკანტის სწავლისადმი მზაობისა და კომპეტენციების ეფექტიანად გაზომვა;

7.მოტივაციური გასაუბრებისას კომისია იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

ა) ინტერვიუს ფორმა (შეკითხვები); (იხ.დანართი 1)

ბ) ინტერვიუს შეფასების ფორმა (კომისიის წევრებისთვის); (იხ.დანართი 2)

3.ინტერვიუ შედგება შინაარსობრივი ბლოკებისგან, რომლებიც აერთიანებს მსგავსი თემატიკის ძირითად და ჩამაღრმავებელ (დამატებით) შეკითხვებს. ჩაღრმავებული შეკითხვები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი აპლიკანტი ვერ პასუხობს კომისიის წევრის კითხვას. ინტერვიუს ბლოკები განსხვავებული შინაარსის მიუხედავად ერთ მიზანს ემსახურება - მოტივაციური გასაუბრების თითოეული კითხვის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის მოტივაცია და მზაობა, შესაბამისად, ინტერვიუს თითოეულ ბლოკს თუ კითხვას აპლიკანტის მოტივაციური ასპექტების გამოკვეთის მიზანი აქვს.

8.ინტერვიუსა და ინტერვიუს შეფასების ფორმების სტრუქტურა იდენტურია და მოიცავს შემდეგ განზომილებებს:

ა) პროფესიული ცნობისმოყვარეობა - ბლოკის მიზანია შეაფასოს რამდენად ცნობისმოყვარეა აპლიკანტი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში, რამდენად ისწრაფვის;

ბ) ინფორმაცია პროფესიის შესახებ - აღნიშნული ბლოკის მიზანია ინტერვიუერმა (კომისიის წევრმა) გამოარკვიოს რამდენად ფლობს აპლიკანტი ინფორმაციას პროფესიის შესახებ და რამდენად სურს ამ პროფესიის შესწავლა. შეფასდეს რამდენად მოტივირებულია აპლიკანტი პროფესიის შესწავლით, რაც ამ შემთხვევაში, მის შესახებ ინფორმაციის მოძიების მცდელობით გამოიხატება;

გ) მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება - ჩვეულებრივ, პროფესიით დაინტერესება მოიაზრებს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულებას როგორც ფორმალური,

ასევე არაფორმალური აქტივობების ან/და ჰობის დონეზე. აღნიშნული კომპონენტის მიზანია ინტერვიუერმა (კომისიის წევრმა) დაადგინოს, რამდენად დაინტერესებულია აპლიკანტი პროფესიის შესწავლით და სცადა თუ არა მან საკუთარი ძალების მოსინჯვა ამ პროფესიაში, თუნდაც არაფორმალურად;

დ) პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები - აღნიშნული ბლოკის მიზანია ინტერვიუერმა (კომისიის წევრმა) გამოარკვიოს რამდენად შეესაბამება/თავსებადია აპლიკანტის ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები პროფესიასთან. ამ კომპონენტის შეფასება საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტიანად ვიწინასწარმეტყველოთ აპლიკანტის მიღწევა პროფესიაში;

ე) პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები - აღნიშნული ბლოკი მოტივაციის სწორედ ამ კომპონენტს აფასებს, რამდენად აქვს წინასწარ განსაზღვრული აპლიკანტს საკუთარი კარიერის აღნიშნულ პროფესიასთან დაკავშირება, აქვს თუ არა მასთან დაკავშირებული გეგმა/ პროგრამა, რომლის რეალიზებაზეც მუშაობს, რამდენად თვლის, რომ აღნიშნული პროფესია კარიერული განვითარების შესაძლებლობას მისცემს. ინტერვიუერმა (კომისიის წევრმა) ამ ბლოკში გაერთიანებული შეკითხვებით უნდა გამოარკვიოს რატომ აბარებს აპლიკანტი ამპროგრამაზე და მასთან დაკავშირებული რა გრძელვადიანი მიზნები აქვს;

ვ) კომუნიკაციური უნარ-ჩვევები - აღნიშნული ბლოკის მიზანია აპლიკანტის კომუნიკაციური უნარ-ჩვევების შეფასება, რომელსაც ის ინტერვიუს მსველობისას ავლენს, შესაბამისად, აღნიშნულ კომპონენტში კომისიის წევრი აპლიკანტს აფასებს ინტერვიუს დასრულების შემდეგ. კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებში იგულისხმება მკაფიო და დამაჯერებელი საუბრის მანერა, გასაგებად და ამომწურავად საუბარი, ინფორმაციის ლოგიკურა და თანმიმდევრულად წარმოდგენა საუბრის კონტექსტის გათვალისწინებით, კომისიის წევრებისთვის ყურადღებით მოსმენა და შესაბამისი დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობა, სხეულის ენა, ჟესტიკულაცია, თავაზიანობა და ა.შ.

9. მოტივაციური გასაუბრების შეუფერხებლად ადმინისტრირებისთვის კოლეჯი გამოყოფს შერჩევის პროცესის ადმინისტრატორს , რომლის მოვალეობებია:

ა) აპლიკანტებსა და კომისიის წევრებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა და გასაუბრების პროცესის დაგეგმვა;

ბ) შერჩევის პროცესის ელექტრონულ ბაზაში, პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების გადამოწმება და საბოლოო სიაზე შეჯერება;

გ) შერჩევის პროცესის ადმინისტრებამდე 1 კვირით ადრე პროგრამაზე დარეგისტრირებულ ყველა აპლიკანტთან დაკავშირება, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა მათგანი ინფორმირებულია შერჩევის თარიღების შესახებ;

დ) დარწმუნდეს, რომ პროგრამაზე დარეგისტრირებულმა ყველა აპლიკანტმა იცის კოლეჯის მისამართი და მისასვლელი გზა;

ე) ინტერვიუმდე ერთი დღით ადრე, პროგრამაზე დარეგისტრირებულ ყველა აპლიკანტთან დაკავშირება და გასაუბრებაზე გამოცხადების დროს, მისამართის და გასაუბრების ხანგრძლივობის შეხსენება.
ვ) თუ აპლიკანტ(ებ)ის ინტერვიუს დრო ემთხვევა სხვა პროგრამის შერჩევას, ადმინისტრატორი აპლიკანტ(ებ)თან და კომისიის წევრებთან შეთანხმებით, შეჯერდება გასაუბრების დამატებით დროზე. ადმინისტრატორმა უნდა გადაამოწმოს IშI-თან, მართლაც ემთხვევა თუ არა აპლიკანტს გასაუბრება სხვა გამოცდაზე, რათა გამოირიცხოს არასაპატიო მიზეზები;

ზ) შერჩევის ადმინისტრირებამდე, ინტერვიუს ჩასატარებელ ოთახში მშვიდი და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა და მოწესრიგება;

თ) თუ აპლიკანტთა რაოდენობის გათვალისწინებით, წინასწარ დაიგეგმოს გასაუბრების დღეთა რაოდენობა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს კომისიის წევრებს.

ი) გასაუბრების დაწყებამდე 30 წუთით ადრე მოიწვიოს კომისიის წევრები და გააცნოს ინტერვიუს ფორმა და ინტერვიუს შეფასების ფორმა;

კ) დეტალურად აუხსნას, ინტერვიუს სტრუქტურა და განუმარტოს, რომ წარმოდგენილი კითხვები სარეკომენდაციო და არ უზღუდავს კომისიის წევრს მისთვის სასურველი კითხვების დასმის უფლებას.

10. მოტივაციური გასაუბრების შეუფერხებლად ადმინისტრირებისთვის კოლეჯი გამოყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს, რომლის მოვალეობებია:

ა) შერჩევის ადმინისტრირებამდე გაიაროს შესაბამისი ტრენინგი,

ბ) მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს IშI-ის თანამშრომლებთან, რომლებმაც შეიმუშავეს მეთოდის მხარდამჭერი ონლაინ პლატფორმა;

გ) შერჩევის პროცესის დაწყებამდე საფუძვლიანად შეამოწმოს კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც შეფასებებისთვის უნდა გამოიყენონ კომისიის წევრებმა.

დ) შერჩევის პროცესის დაწყებამდე მცირედი ინსტრუქცია წარუდგინოს კომისიის წევრებს და დარწმუნდეს, რომ კომისიის ყველა წევრმა იცის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ელექტრონული პლატფორმა აპლიკანტთა შეფასების პროცესში.

ე) შერჩევის პროცესის დაწყებამდე, საფუძვლიანად შეამოწმოს კოლეჯის ინტერნეტის ქსელი და ინტერნეტთან იმ კომპიუტერული ტექნიკის წვდომა, რომელსაც კომისიის წევრები იყენებენ აპლიკანტთა შეფასებისას.

ვ) ტექნიკური პრობლემის შემთხვევაში დაუკავშირდეს საინფორმაციო სისტემის თანამშრომელს და მათთან კომუნიკაციით აღმოფხვრა პრობლემა.

მუხლი 10. შეფასების პროცესი

1.შეფასების მეთოდები და ეტაპები უნდა უზრუნველყოფდნენ წინასწარი შეფასებით, ისეთ აპლიკანტთა შერჩევას, რომლებიც შეძლებენ პროგრამის განხორციელების ვადებში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

2.შეფასების პროცესი უნდა განხორციელდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების დაცვით.

3.კანდიდატთა შეფასების მიზნით შესაძლოა გამოყენებული იქნეს ერთი ან რამდენიმე მეთოდი;

4.შეფასების მეთოდის შინაარსს, ასევე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს განსაზღვრავს შესარჩევი კომისია;

5.აპლიკანტთა შეფასება არის დიფერენცირებული და განისაზღვრება დანართების შესაბამისად.

6. მოტივაციური გასაუბრებისას კომისიის წევრები მუშაობენ მათთვის განკუთვნილ კომპიუტერზე, აფასებენ აპლიკანტებს და თითოეული აპლიკანტის შედეგები შეჰყავთ შესაბამის ელექტრონულ ფორმაში, რომელიც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (IშI) მიერ არის შემუშავებული. კომისიის თითოეული წევრი ცალ-ცალკე აფასებს თითოეულ აპლიკანტს წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (იხ. დანართი 1). გასაუბრებაზე შეფასებები იკრიბება და საშუალო არითმეტიკულის პრინციპით მიიღება აპლიკანტის საშუალო ჯამური ქულა.

7.მოტივაციური ინტერვიუს მაქსიმალური ქულა არის 100, რომელსაც აგენერირებს IშI-ის მიერ შემუშავებილი ელექტრონული პლატფორმა.

8.მოტივაციურ გასაუბრებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25 % (ქულა). რეიტინგულ სიებს ავტომატურად აკეთებს ელექტრონული ბაზა;

9.იმ შემთხვევაში თუ მოტივაციური გასაუბრება მიმდინარეობს ონლაინ ფორმატში, გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

ა) აუცილებელია, აპლიკანტს ჰქონდეს ვიდეოკამერა, რათა შესაძლებელი იყოს მისი ამოცნობა. ონლაინ ჩართვისას, აპლიკანტმა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი, რათა შერჩევის ადმინისტრატორმა შეძლოს პირის იდენტიფიკაცია;

ბ) დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკა იყოს მოწესრიგებულ მდგომარეობაში;

10. ონლაინ ჩართვის დროს აპლიკანტთა შეფასება კომისიის წევრების მიერ ხორციელდება ინდეტურად, პირისპირ გასაუბრების მსგავსად.

11.მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით,რომელიც მტკიცდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

თავი III

მუხლი 11. აპლიკანტისთვის განმეორებით შეფასების უზრუნველყოფა და პირობები

1. აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფა დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

ა) ძირითად თარიღს ემთხვევა აპლიკანტის შეფასება მის მიერ არჩეული სხვა პროგრამის მიზნებისათვის;

ბ) აპლიკანტი ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის გამო მოკლებულია ძირითად თარიღში შეფასების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას;

გ) აპლიკანტი პანდემიის ან გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო მოკლებულია ძირითად თარიღში შეფასების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას;

2. განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის მოთხოვნით, აპლიკანტი არაუგვიანეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი შერჩევის ეტაპის დასრულებამდე ათი სამუშაო დღით ადრე განცხადებით მიმართავს კოლეჯს და ამ მუხლის 1 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული გარემოებების არსებობის შესახებ დაურთავს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს;

3. განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ შეფასების განხორციელება და შედეგების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი შერჩევის ეტაპის დასრულებამდე;

4. კოლეჯის დირექტორი იხილავს განსხვავებულ თარიღში აპლიკანტის შეფასების უზრუნველყოფის შესაძლებლობას და იღებს გადაწყვეტილებას განსხვავებულ თარიღში შეფასების განხორციელების ან განსხვავებულ თარიღში შეფასებაზე უარის თქმის შესახებ .

5.კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს განმცხადებლის ინფორმირებას ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში სატელეფონო ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

6.განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორ) სამუშაო დღეში.

7. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.

თავი IV

აპელაცია

მუხლი 12. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების აპელაციის წესი და ვადები

1. აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
2. საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება სააპელაციო კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საჩივრის შინაარსის მიხედვით, გასაჩივრებულია პროცედურული საკითხები თუ მიღებული შეფასება.
3. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები. აუცილებელია სააპელაციო კომისიაში შედიოდეს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
4. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში.
5. სააპელაციო კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.
6. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს და უფლება აქვს ტესტირებისას აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი და დაწეროს უფრო მაღალი/დაბალი შეფასება. ტესტირების პროცედურის დარღვევისას , შეცვალოს ან/და დატოვოს იგივე შეფასება.
7. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა შესარჩევი კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს (გასაუბრებისას) და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან გასაუბრება.
8. სააპელაციო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
   ა) აპლიკანტის მიერ შერჩევის პროცედურის დარღვევისას – მისი ნული ქულით შეფასების თაობაზე;
   ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში – მისი შეფასების გადახედვის თაობაზე.
9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
10. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
11. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

მუხლი 13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები კოლეჯში ირიცხებიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში.

2. კოლეჯი განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ

.3.პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართება პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.

4.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, რომელმაც გამოცხადებული მიღების ფარგლებში რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აირჩია, შედეგებისხელმისაწვდომობის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში უფლება ეძლევა მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან აირჩიოს მხოლოდ ერთ-ერთი, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და წარადგენოს კოლეჯში აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის გასაზღვრული დოკუმენტები.

5.თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული მსაგანმანათლებლო პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.

6 სპეცილური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ

განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 (სამი) პროგრამა. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს აპლიკანტთა შერჩევა პრაქტიკული მოსინჯვის გზით, თუ მითითებულ პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტს შერჩევის ეტაპი არ გაუვლია. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით გამოცხადებული მიღების ფარგლებში, რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, ის მოქმედებს ამ მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად. სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებულ ერთერთ საგანმანათლებლო პროგრამას და კოლეჯში წარადგენს დოკუმენტებს.

7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი. მონაცემები აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ხდება აპლიკანტის ინფორმირება სატელეფონო ან/და ელეტრონული ფოსტის საშუალებით.

8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კოლეჯი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

9. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე

მუხლი 14. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება აქვთ :

ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში,უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ) საქართველოს მოქალაქეები და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებული პირები, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს.

2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით.
3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.
4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების გათვალისწინებულ ეტაპამდე.

მუხლი 15. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით კოლეჯი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
2. შესავსები ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ჩარიცხვის დასრულების შემდეგ პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილი თავისუფალი ადგილების მიხედვით.

3. მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს, იმ აპლიკანტებისათვის დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელთაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

4. პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების შედგენა, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მონისტრის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

5. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების პროცესი სრულდება დაწესებულების მიერ სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 16. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები

1.პროგრამაზე პირის ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება პროგრამით, რომელიც ეყრდნობა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს და არსებობის შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

2.დაწესებულება ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

ა)საბაზო პროფესიულ პროგრამაზე აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა იმ შემთხვევისა თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი. მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

ბ) უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:

გ) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;

დ) პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სია დგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან /და უმაღლესი განათლება.

3.დაწესებულების დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ბრძანებით განსაზღვრავს:

ა) აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს;
ბ) დოკუმენტების წარდგენის ფორმას;
გ) დოკუმენტების წარდგენის ვადებს;
დ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლებს;
ე) ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და ვადებს;
ვ) სხვა საკითხებს, დაწესებულების გადაწყვეტილებით.

4. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.

5. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.

6. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა

გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, დაწესებულებას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად, ამ შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს დაწესებულების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე /სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ აპლიკანტის ჩარიცხვის შემთხვევაში, რომელმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით, ამ პირთათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი იწყება ქართული ენის (2/ 1) მოდულით;

8.ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

9. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა.ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ა.გ) ისარგებლოს გარე მობილობით, მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

ა.დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა

ა.ე.) დაწესებულება უფლებამოსილია ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით

(რომელზეც მოიპოვაჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

მუხლი 17. აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი

1.აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად /ბათილად ცნობის საფუძველი შესაძლოა გახდეს სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა

2.აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია ასევე აპლიკანტის მიერ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში დოკუმენტების არ წარმოდგენა.

მუხლი 18. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს:

ა) საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრმაზე დაიშვება პირი,რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

გ) უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.

3. კოლეჯის მიერ დადგენილი განაცხადის შევსებულ ფორმას (რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე, თან უნდა ერთვოდეს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დედანთან ერთად. (საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედანი დაუბრუნდება აპლიკანტს);

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დედანთან ერთად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად (საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედანი დაუბრუნდება აპლიკანტს);

გ) უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტი;

დ) ორი ფოტოსურათი 3X4;

ე) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - აპლიკანტის დაბადების მოწმობის ასლი, დედანთან ერთად, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დედანთან ერთად და მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედანთან ერთად (საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედნები დაუბრუნდება მფლობელს);

ვ) შშმ აპლიკანტის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დედანთან ერთად და მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედანთან ერთად (საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედნები დაუბრუნდება მფლობელს).

ზ) თუ აპლიკანტი 17 წელს მიღწეული პირია (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსი პირს ენიჭება კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის დღიდან. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეიტანება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

5. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს. კოლეჯი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანის ან შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი.

7. ხელშეკრულება ძალაში შედის პროფესიულ სტუდენტის სტატუსის მინიჭების თაობაზე კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის დღიდან.

8. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

ჩასარიცხად საჭირო საბუთების მიღების დროს აპლიკანტის მიერ დედანი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია დოკუმენტის ასლის დედანთან სისწორე დამოწმდეს დაწესებულების იმ თანამშრომლის მიერ ხელმოწერით, რომელმაც განახორციელა შესაბამისი დოკუმენტის მიღება.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

1. კოლეჯში, აპლიკანტებისა და შერჩევის ადმინისტრირებაში მონაწილე პირების (შიდა შერჩევის ადმინისტრატორი, კომისიის წევრები, IT სპეციალისტი და სხვა) პერსონალური მონაცემების გამოყენება/დამუშავება ხდება შპს ცხუმ-ეგრისის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის შესაბამისად.
2. წინამდებარე წესი მოქმედებს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების" შესახებ ბრძანებასთან ერთად.
3. საკითხები, რომელიც არ არის დარეგულირებული ამ წესში, რეგულირდება:

ა) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2024 წლის 25 ივნისის 110/ნ ბრძანებით;

გ) სხვა შინაარსობრივად დაკავშირებული ნორმატიული აქტებით.

4. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის საფუძველზე.\

მუხლი 20. გარდამავალი დებულებები

1.კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

2. წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 20.1. პროფესიულ სტუდენტთა მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (2026 წლის საგაზაფხულო მიღება)

1. 2026 წელს კოლეჯი უფლებამოსილია უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მიღება განახორციელოს აგრეთვე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 2 მარტის №27/ნ ბრძანების და საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების— შესაბამისად.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის აბიტურიენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად დარეგისტრირდება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე და რეგისტრაციისას აირჩევს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამას.

3. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე პროფესიულ პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით კოლეჯი :

3.1. დადგენილ ვადებში ელექტრონულად ავსებს შესაბამის ანკეტა-კითხვარს პროფესიული განათლების

მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;

4. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით:

4.1. პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

4.2. აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება ანკეტა კითხვარის დადასტურების მდგომარეობით.

5. შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებელი საგანი ან საგნები შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების მიხედვით განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით და აისახება ერთიანი ეროვნული გამოცდების სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში.

6. თუ აბიტურიენტს ჩაბარებული აქვს შესაბამისი პროგრამისთვის განსაზღვრული ორი ან მეტი საგანი, რანჟირების დროს გამოყენებული იქნება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების— 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპი.

7. შესაბამის საგანში გადასალახი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით შესაბამისი საგნისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ნახევარზე მეტს.

8 . იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის განსაზღვრულია რამდენიმე ჩასაბარებელი საგანი, კოლეჯის მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა ნაწილდება საგნების რაოდენობის პროპორციულად.

პროპორციული განაწილების ზუსტად განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საგანთა ჩამონათვალში პირველ საგანს.

9. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს დღისა ამზადებს და ამტკიცებს თითოეული აბიტურიენტის რანჟირების დოკუმენტს იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და პროგრამის მითითებით, რომელზეც მას სწავლის უფლება მიენიჭა.

10. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს რანჟირების დოკუმენტის მიწოდებას პროფესიული განათლების მართვის სისტემისთვის და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის.

11. პროფესიული განათლების მართვის სისტემა უზრუნველყოფს რანჟირების დოკუმენტისხელმისაწვდომობას დაწესებულებისთვის პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

12. საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ აბიტურიენტი დაწესებულებაში წარადგენს ჩარიცხვისათვის აუცილებელ დოკუმენტებს დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №42/ნ (2021 წლის 2 ივლისი) მე-19 მუხლის მე-3 პუპუნქტის შესაბამისად.

13. დაწესებულება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ჩარიცხოს აბიტურიენტი შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად, აბიტურიენტის

წერილობითი ნების საფუძველზე;

14. ამ წესით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სწავლის დაწყების ზუსტი თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

15. იმ საკითხების რეგულირებისას, რომლებიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული ამ მუხლით, გამოიყენება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით— გათვალისწინებული ნორმები.

16. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა აღნიშნული წესის საფუძველზე ხორციელდება ამავე მუხლით განსაზღვრული პირობების დაცვით.

დანართი 1.

მოტივაციური გასაუბრება		
შეფასების მიზანი	აუცილებელი კითხვები	დამაზუსტებელი კითხვები და შენიშვნები
ბიო მონაცემები		
მიზანი: ინტერვიუს მიმართ აპლიკანტის დადებითი განწყობისა და ნდობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება.	თქვენი სახელი და გვარი?	
	მოგვიყევით თქვენ შესახებ	რას საქმიანობთ ამჟამად?
	თქვენი ასაკი?	საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, დასვათ შეკითხვები ოჯახური მდგომარეობის, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის, საცხოვრებელი ადგილის შესახებ;
1. ინფორმაცია პროფესიის შესახებ		
მიზანი: ბლოკის მიზანია ინტერვიუერმა შეაფასოს რამდენად ფლობს აპლიკანტი ინფორმაციას პროფესიის შესახებ და რამდენად სურს ამ პროფესიის შესწავლა.	1. თქვენი აზრით, რა სამუშაოებს ასრულებს ამ პროფესიით დასაქმებული ადამიანი?	თქვენი აზრით, რა მოვალეობები აკისრიათ ამ პროფესიით დასაქმებულ ადამიანებს? რა პროდუქტს/მომსახურებას ქმნიან?
	2. თუ გსმენიათ ამ პროფესიის ადამიანები სად, რომელ ორგანიზაციებში ან სამუშაო ადგილებზე საქმდებიან?	
	3. თქვენი აზრით, რამდენად მარტივია ან რთულია ამ პროფესიით დასაქმება?	საიდან ფლობთ ამ ინფორმაციას?
	4. თქვენი აზრით, როგორია ამ პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაო გარემო?	თქვენ როგორი სამუშაო გარემო მოგწონთ? როგორი არ მოგწონთ?
	5. თქვენი აზრით, რა პრობლემები და სირთულეები ახლავს ამ პროფესიას?	თქვენი აზრით, უშუალოდ სამუშაოს შესრულებისას, რა სირთულეების/გამოწვევების წინაშე დგებიან ამ პროფესიით დასაქმებული ადამიანები?
	6. თქვენი აზრით, რამდენად ანაზღაურებადია ეს პროფესია?	თქვენი აზრით, საშუალოდ, რა თანხას გამოიმუშავებს, თვეში, ამ პროფესიით დასაქმებული ადამიანი? რამდენად მისაღებია თქვენთვის?

	7. როგორ ფიქრობთ, რამდენად პრესტიჟულია ან	თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?
	არაპრესტიჟულია ეს პროფესია დღეს საქართველოში?	
	8. თქვენი აზრით, არსებობს თქვენს რეგიონში ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობა?	ამ სფეროში მომუშავე რომელ ორგანიზაციას გაიხსენებდით თქვენს რეგიონში?
	9. როგორ ფიქრობთ, არსებობს ამ პროფესიით თვითდასაქმების შესაძლებლობა?	თუ განიხილავთ თვითდასაქმებას? რა არის თქვენი გეგმები ამ მიმართულებით?
	10. თქვენი აზრით, რა თეორიული კურსები/მოდულები/საგნები ისწავლება ამ პროგრამაზე?	რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო, უინტერესო?
	11. თქვენი აზრით, რამდენად პერსპექტიულია ეს პროფესია საქართველოში და ზოგადად?	გთხოვთ, იმსჯელოთ ქვეყანაში ამ პროფესიის სამომავლო განვითარების შესახებ?
2. პროფესიული ცნობ ისმოყ ვარეობა		
მიზანი: ბლოკის მიზანია შეაფასოს რამდენად ცნობისმოყვარეა აპლიკანტი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, რამდენად ისწრაფვის დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და უკვე არსებული კომპეტენციების სრულყოფისკენ.	1. ყოფილხართ ჩართული ტრენინგების ან გადამზადების აქტივობებში აღნიშნული პროფესიის დაუფლების მიზნით?	აღწერეთ, რა ტიპის აქტივობებზე საუბრობთ ? რა ინფორმაცია მიიღეთ პროფესიის შესახებ და რაში გამოგადგათ? საკუთარი ინიციატივით ჩაერთეთ?
	2. რომელი საგნები მოგწონდათ ყველაზე მეტად სკოლაში ან სხვა სასწავლო დაწესებულებაში სწავლისას?	რატომ მოგწონდათ ეს საგნები? კარგად გამოგდიოდათ ის საგნები, რომელიც მოგწონდათ? რომელი საგნების სწავლა გიადვილდებოდათ? რაში დაგეხმარებათ ამ საგნების კარგად ცოდნა ამ პროფესიაში?
	3. გიცდიათ ამ პროფესიის შესახებ ინფორმაციის მოძიება?	ძირითადად რა გზებს მიმართავთ ინფორმაციის მოძიებისთვის? რატომ დაინტერესდით ამ ინფორმაციით? რა ტიპის წყაროს გაეცანით: სტატია, ვიდეო... რამდენად სარწმუნო/სანდო იყო თქვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია?
	4. საიდან გაიგეთ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ?	რა ინფორმაციას ფლობთ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ?
3. მსგავსი სამუშაოები ს შესრულების გამოცდი ლება		
მიზანი: ბლოკის მიზანია, ინტერვიუერმა შეაფასოს აქვს თუ არა აპლიკანტს პროფესიასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რაც	1. აქამდე თუ გქონიათ შეხება ამ პროფესიასთან?	რა იყო თქვენთვის ყველაზე საინტერესო ამ პროცესში? რა გაგიჭირდათ ან გაგიადვილდათ ყველაზე მეტად?
	2. შეგისრულებიათ ამ პროფესიისთის დამახასიათებელი ან მსგავსი სამუშაო?	მაგალითად, მებაღეობის შემთხვევაში, დაგირგავთ, გაგისხლავთ, დაგიკალმებიათ და ა.შ.
	3. გამოგიყენებიათ ამ პროფესიისთვის საჭირო იარაღები?	თუ არ გამოგიყენებიათ, იცით, რა სამუშაო იარაღებს იყენებენ ამ პროფესიაში დასაქმებული ადამიანები სამუშაოს შესრულებისას?

გამოხატავს პროფესიისადმი მის ინტერესს.	4. როგორ ფიქრობთ, გამოგივათ ამ პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების კარგად შესრულება? რატომ?	გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც შეასრულეთ მსგავსი სამუშაო? რა სამუშაოა ისეთი, რომლის შესრულებასაც არ ისურვებდით ამ პროფესიაში? ან რომელი სამუშაოა ყველაზე საინტერესო თქვენთვის? რატომ არის საინტერესო?
4. პროფესიის მნიშვნელობის გააზრება		
	1. თქვენი აზრით, რატომ არსებობს ეს პროფესია?	რა სიკეთე მოაქვს ამ პროფესიას საზოგადოებისთვის?
მიზანი: ბლოკის მიზანია ინტერვიუერმა შეაფასოს რამდენად აქვს გააზრებული აპლიკანტს პროფესიის მნიშვნელობა და ღირებულება.	2. თუ გიფიქრიათ, რა სახის სარგებელს მოუტანს თქვენი პროფესია თემს/სოფელს/ქვეყანას?	
	3. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ამ პროფესიაში დასაქმებული იდეალური მუშაკი?	გთხოვთ, აღწეროთ იდეალური მუშაკის პიროვნული მახასიათებლები და უნარები.
	4. რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?	როგორ ფიქრობთ, რატომ ირჩევენ პრესტიჟულ პროფესიებს ადამიანები, ვისთვისაც ეს პროფესიები შესაძლოა არცთუ ისე შესაფერისი იყოს?
	5. თქვენი აზრით, რა ზიანი შეიძლება მიადგეს ამ პროფესიით გარემოს? და როგორ შეიძლება ამ ზიანის შემცირება?	თვლით, რომ ყველა კომპანიის საქმიანობაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოზე ზრუნვის კომპონენტი, თუნდაც, ეს მის ეფექტიან მუშაობას აფერხებდეს?
	6. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი წვლილი ამ პროფესიის განვითარებაში?	
	5. პროგრამაზე სწავლის მზაობა	
მიზანი: ბლოკის მიზანია, ინტერვიუერმა შეაფასოს რამდენად მაღალია აპლიკანტის პროგრამაზე სწავლის მზაობა და მოტივაცია.	1. რა ინფორმაციას ფლობთ პროგრამის შესახებ?	საიდან მიიღეთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ?
	2. გაქვთ ინფორმაცია სასწავლო დატვირთვის შესახებ?	თუ იცით, როგორია სწავლების ხანგრძლივობა?
	3. თქვენი აზრით, რომელი საგნების შესწავლა მოგიწევთ ამ პროგრამაზე?	
	4. რა მოლოდინები გაქვთ პროგრამისგან?	
	5. როგორ წარმოგიდგენიათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესი?	თქვენი აზრით, რითი იქნება კოლეჯის სასწავლო პროცესი სკოლისგან განსხვავებული?
	6. რატომ გადაწყვიტეთ სწავლის კოლეჯში გაგრძელება?	
	6. რამდენად ხართ მზად ჩაერთოთ სასწავლო პროცესში?	რამდენად შეძლებთ დღის მანძილზე დრო დაუთმოთ ლექციებზე დასწრებას?
6. კარიერული განვითარების გეგმები		

მიზანი: ბლოკის მიზანია, ინტერვიუერმა გამოარკვიოს რატომ აბარებს აპლიკანტი ამ პროგრამაზე და რა გრძელვადიანი მიზნები აქვს მას, როგორ უკავშირებს საკუთარი კარიერული განვითარების გეგმას პროგრამაზე ჩაბარებას.	1. რატომ გსურთ ამ პროფესიის დაუფლება?	რა კონკრეტული გეგმა გაქვთ ამ პროფესიასთან დაკავშირებით?
	2. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება გამოიყენოთ მომავალში ეს პროფესია?	
	3. სად და როგორ გეგმავთ პროგრამაზე სწავლის შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენებას?	
	4. სად ხედავთ თქვენს თავს რამდენიმე წლის შემდეგ?	
	5. თვლით, რომ ეს პროფესია კარიერული განვითარების შესაძლებლობას მოგცემთ?	
	6. რომ არა ეს პროფესია, რომელ პროფესიას აირჩევდით და რატომ?	თუ სხვა პროფესიაში უფრო მეტად ხედავთ საკუთარ თავს, რატომ გადაწყვიტეთ ამ პროგრამაზე ჩაბარება?

დანართი 2.

მოტივაციური გასაუბრება: შეფასების ფორმა						
1. ინფორმაცია პროფესიის შესახებ						
აპლიკანტი ფლობს ინფორმაციას პროფესიის ისეთი ასპექტების შესახებ, როგორიცაა: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ფლობს ინფორმაციას პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ: სამუშაოს მოცულობა, სამუშაოს ტიპი, სამუშაო გარემო, ფუნქცია-მოვალეობები, დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაოს დადებითი მხარეები და სირთულეები, ანაზღაურება.
2. პროფესიული ცნობისმოყვარეობა						
გამოირჩევა სამიზნე პროფესიასთან შესაბამისი საგნებისადმი/საკითხებისადმი ინტერესით, იჩენს ინიციატივას; იცის როგორ უნდა მოიძიოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო პროფესიული საკითხების შესახებ;	4	3	2	1	0	პროფესიასთან დაკავშირებული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩევა. არ აქვს გაცნობიერებული მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიების საჭიროება.
3. მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება						
აპლიკანტს აქვს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულების გამოცდილება (ფორმალურად ან არაფორმალურად). მან იცის, რომელი ძირითადი სამუშაო იარაღები/ტექნიკა/აღჭურვილობა გამოიყენება პროფესიაში და აქვს მათი გამოყენების მინიმალური გამოცდილება მაინც.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ შეუსრულებია პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოები, არ ფლობს ინფორმაციას ამ სამუშაოებისა და ძირითადი იარაღების/ტექნიკის/ აღჭურვილობის შესახებ,

						რომელიც გამოიყენება პროფესიაში.
4. პრო ფესიის მნიშვნელობის გააზრება						
კანდიდატს კარგად აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება როგორც ლოკალურ (თემის/სოფლის/ქალაქის), ასევე ეროვნულ (ქვეყნის/საზოგადოების) კონტექსტში. აცნობიერებს საკუთარ წვლილს პროფესიის განვითარებაში. აპლიკანტის პასუხები მეტყველებს მის გააზრებულ არჩევანზე.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული პროფესიის ძირითადი ღირებულება/დანიშნულება და თავისი როლი ამ პროფესიაში; არ აქვს გააზრებული საკუთარი წვლილი პროფესიის განვითარებაში; მისი პასუხები მეტყველებს იმაზე, რომ კოლეჯში ჩაბარების გადაწყვეტილება არ აქვს გააზრებული.
5. პროგრამაზე სწავლის მზაობა						
კანდიდატს კარგად აქვს გაცნობიერებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ. მეტ-ნაკლებად სრულად ფლობს ინფორმაციას პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. ინფორმაცია რელევანტურ წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. პროგრამაზე ჩაბარების ძირითადი მოტივი სამიზნე პროფესიისადმი ინტერესია. მას კარგად აქვს გააზრებული სამომავლო გეგმები.	4	3	2	1	0	კანდიდატს არ აქვს გააზრებული კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება; არ ფლობს ინფორმაციას პროგრამის ძირითადი სპეციფიკის (დატვირთვა, სწავლების ხანგრძლივობა) შესახებ. არ ფლობს ან არასწორ ინფორმაციას ფლობს პროგრამაზე შესასწავლი საგნების შესახებ. ინფორმაცია ან საერთოდ არ მოუძიებია, ან არარელევანტურ, ნაკლებად სანდო წყაროებზე დაყრდნობით აქვს მოძიებული. არ იკვეთება ინტერესი შერჩეული პროფესიული პროგრამის
შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანდიდატს პროგრამაზე სწავლის მზაობა აქვს.						მიმართ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანდიდატი ნაკლებად არის მზად აღნიშნულ პროგრამაზე სწავლისთვის.
6. კარიერული განვითარების გეგმები						
აპლიკანტი დაინტერესებულია პროფესიის შესწავლით. გაცნობიერებული აქვს თუ რატომ სურს ამ პროფესიის დაუფლება, როგორ და რაში გამოიყენებს არა მარტო პროფესიას, არამედ მასთან დაკავშირებულ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს; ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული მოლოდინი პროფესიის მიმართ და მკაფიოდ აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი და როლი პროფესიაში.	4	3	2	1	0	აპლიკანტი არ ავლენს ინტერესს პროფესიისადმი; არ აქვს მკაფიო მოლოდინი პროფესიის მიმართ; არ აქვს გაცნობიერებული პროფესიასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები ან სირთულეები; არ აქვს პროფესიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და ვერ აანალიზებს საკუთარ ადგილსა და როლს ამ პროფესიაში.

კომისიის წევრი:

ხელმოწერა ---------- ----------